ბადრი (კახა) კვარაცხელია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.37

საბრალდებო პროცესი XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში

აბსტრაქტი. ნაშრომში შესწავლილია გვიანფეოდალური ეპოქის აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლო მართლმსაჯულების ერთი - გამორჩეულად საყურადღებო დეტალი საბრალდებო პროცესი და მისი მიმდინარეობა.

გვიანფეოდალურ საქართველოში სასამართლო დაწესებულებას „მდივანი“ ეწოდებოდა, იგი არაბული სიტყვაა და სამსაჯულისა და სახელმწიფო დაწესებულებას აღნიშნავდა. სპეციალურ სასამართლო ფუნქციის შესასრულებლად განწესებულ მოხელეს მდივანბეგი ერქვა.

მდივანბეგი იყო მოსამართლე, რომლის კომპეტენციაში შედიოდა სხვადასხვა სახის სამოქალაქო და სისხლისა სამართლებრივი საქმეები. მდივანბეგის სასამართლო ჩვეულებრივ კოლეგიური იყო. სასამართლოს ესწრებოდა მდივანი, რომლის მოვალეობას შეადგენდა მხარეთა ჩვენების ჩაწერა, სამართლებრივი წიგნის სათანადო მუხლის მოძებნა; მდივნები სასამართლოს წევრებადაც ითვლებოდნენ და მონაწილეობას იღებდნენ საქმეების გარჩევაში. ჩვენს მიერ შესასწავლი საბრალდებო პროცესის მიმდინარეობას ეს ადამიანები ახორციელებდნენ.

XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში მდივანბეგი მეფის მიერ ხელდასმული მოხელე და სახელმწიფო მოსამართლე იყო. საბრალდებო პროცესის მიმდინარეობა მთლიანად მდივანბეგის პრეროგატივა იყო, მაგრამ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებისგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოში საბრალდებო პროცესში XVII საუკუნიდან მდივანბეგთან ერთად ეშიკაღაბასი და მისი ხელქვეითი მოხელეებიც მონაწილეობდნენ.

საკვანძო სიტყვები: აღმოსავლეთ საქართველო, XVII-XVIII საუკუნეები, სასამართლო, საბრალდებო პროცესი, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, მდივანბეგი, ეშიკაღაბასი და მისი მოხელეები.

---

[1] **ბადრი (კახა) კვარაცხელია,** სამართლის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

Kakha (Badri) Kvaratskhelia[2]
Sokhumi State University

Indictment process in Eastern Georgia of the XVII-XVIII centuries

Abstract. In the work, one of the particularly noteworthy details of the court justice of Eastern Georgia of the late feudal era, the accusatory process and its course, is studied. In late-feudal Georgia, the judicial institution was called „secretary“, it is an Arabic word and it meant a judicial and state institution. The official appointed to perform a special judicial function was called Mdivanbegi.

Mdivanbeg was a judge whose competence included various types of civil and criminal cases. Mdivanbeg's court was usually collegial. The court was attended by a secretary, whose duty was to record the testimony of the parties, to find the appropriate article of the legal book; Secretaries were also considered members of the court and took part in deciding cases. These people would carry out the course of the accusation process that we are studying.

The course of the Indictment process was entirely the prerogative of the secretary, but unlike the royal trinity of Western Georgia, since the 17th century, the course of the impeachment process has been the responsibility of the secretary along with the secretary and his subordinates.

***Keywords*:** Eastern Georgia, XVII-XVIII centuries, court, indictment process, law book of Vakhtang VI, Mdivanbeg, Eshikaghabas and his officials.

ძირითადი კვლევა. გვიანფეოდალურ საქართველოში სასამართლო დაწესებულებას „მდივანი“ ეწოდებოდა. იგი არაბული სიტყვაა და სამსჯულოსა და სახელმწიფო დაწესებულებას აღნიშნავდა. ვახტანგ VI სამართლის წიგნი სამსაჯულოს შესატყვის ტერმინს „მდივანს“ იყენებს და აღნიშნავს: „თუ დედაკაცი დედაკაცისგან ჩიოდეს მდივანში ხელი არ აქვს, მოთემემ უნდა გაურიგოს (ვახტანგის სამართალი, 1955: 105).

არაბული ტერმინის „მდივნის“ გაქართულებული ვარიანტი იყო „სამდივნო სახლი“, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც XVIII საუკუნეში მოღვაწეობდა, სეხნია ჩხეიძე „სამდივნო სახლს“ განმარტავს შემდეგნაირად: „ამ დროთა შინა განაგებდა გამგებელი მეფედ წოდებული ბატონიშვილი ვახტანგ, იყო განსვენებისა და სიხარულისა შინა და განაგო საქმე საქართველოსი, განაჩინა წიგნი სამართლისა, ოთხშაბათსა და პარასკევსა დაჯდის სამდივნო სახლსა, განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთანა“ (ჩხეიძე, 1854: 323). მოსამართლეთა მიერ სასამართლო მოვალეობის შესრულებას, საქმის გარჩევას „სამართლის ქმნას“ ან „განბჭობას“ უწოდებდნენ. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ აღნიშნულია:

[2] **Badri (Kakha) Kvaratskhelia**, Doctor of Law, Associate Professor of Sokhumi State University.

„ბატონის უბრძანებლად არას სარდარს სასამართლოდ თავის სასარდლოსთან ხელი არა აქუსთ, რომლისადაც დროში კაცისა გაიყრებოდეს და ან დიდი ბჭობა და სამართალი იქნებოდეს, თავისი სარდარი უნდა დაესწრებოდეს“ (დასტურლამალი, 1886: 58).

გვიანფეოდალურ საქართველოში მართლსაჯულების განხორციელების ფუნქცია სხვადასხვა პირებს ჰქონდათ დავალებული. მოსამართლისა და მსაჯულის სახელწოდებით იხსენიებოდნენ არა მხოლოდ ისინი, რომელნიც სპეციალურად და ყოველთვის ეწეოდნენ სასამართლო მოღვაწეობას, არამედ ის პირებიც, ვისაც მეფისა თუ სხვა კომპეტენტური მოხელის მიერ ერთი გარკვეული სასამართლო საქმის განხილვა ჰქონდათ დავალებული (ლეკვეიშვილი, 1963: 12).

სპეციალურად სასამართლო ფუნქციის შესასრულებლად განწესებულ მოხელეს მდივანბეგი ერქვა, ხოლო მოსამართლეებს „მსაჯულის“ და „ბჭის“ სახელით იყო ცნობილი. სასამართლოში საქმის განხილვას „სამართალში ლაპარაკი“ ეწოდებოდა (დოკუმენტები, I/1940:103).

ნებისმიერი წერილობითი საჩივარი მიდიოდა მეფესთან ან მოსამართლეებთან. მეფესთან ან მის შვილებთან შესულ საჩივრებს რეზოლუციას დაადებდნენ იმის მიხედვით თუ ვის უნდა განეხილა და გადაეწყვიტა ესა თუ ის საქმე „ბატონო მდივანბეგო, ამ აზრის პატრონი ასე ჩივის, ამის საქმე მოიკითხეთ და სამართალი უყავითო“ (დოკუმენტები, I/1940: 62).

მეფეს შეეძლო მომჩივნის თხოვნაზე ამა თუ იმ დავის სასამართლო წესით გადაწყვეტის შესახებ უარი ეთქვა და საჩივრისთვის მსვლელობა არ მიეცა. სასამართლო პროცესში მხარეებს „მოდავეები“ ეწოდებოდათ მოსაჩელეს „მოჩივარს“, ხოლო მოპასუხეს „მოადი“ ეწოდებოდა. მხარეთა მიერ სამსჯავრო სხდომაზე მოთხოვნის ჩამოყალიბებისა და სასამართლოსთვის მოხსენებას წერილობით თუ ზეპირად „სარჩელი“ ეწოდებოდა. ურთიერთ შორის დავას სასამართლოში „ცივილი“ და „ჩივილი“ ეწოდებოდა. გვიანფეოდალურ საქართველოს სასამართლო პროცესზე მიღებული იყო თითოეულ მხარეს რამდენიმე ბრალდებულისა და მომჩივანის, თუ დაზარალებულისა და მოპასუხის არსებობა.

ძველი ქართული სამართლით დაშვებული ყოფილა ქალთა სქესის წარმომადგენლის სასამართლო პროცესზე მხარედ გამოსვლა. ვახტანგ VI სამართლის წიგნის 216-ე მუხლში მიუთითებდა: „თუ დედაკაცს კაცისგან საჩივარი აქვს სამართალშიც მიესვლება და გაგონებაც უნდა, მაგრამ მისი ენით მოადს და არც ფიცი ედავება, არც არა წაერთმის, თუ კაცს დაიმოწმებს, მცდარი არის და თუ დედაკაცი დედაკაცისგან ჩიოდეს, მდივანში ხელი არა აქვს მოთემემ უნდა გაურიგოს“ (ვახტანგის სამართალი, 1955: 105). სასამართლო პროცესზე როგორც ქალს, ასევე

მამაკაცს უფლება ჰქონდა დაესახელებინა თავისი მოწმეები, წარედგინა სასამართლოსათვის სხვა დამამტკიცებელი საბუთები, პასუხი გაეცა მეორე მხარის მოთხოვნებზე. ქალს არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდა ძველი ქართული სამართლით დაფიცების უფლება. ძველი ქართული სამართლის მიხედვით თუ მოპასუხე პროცესზე გამოცხადებას თავს აარიდებდა მოსამართლეს უფლება ჰქონდა საქმე არც კი განეხილა და მოპასუხე მტყუვნად ჩაეთვალა და სადავო ქონება ჩამოერთმიათ მისთვის.

ქართული სამართლის სამსჯავრო პროცესი იყო სამსჯავრო. ის იმართებოდა ხალხის თანდასწრებით, როდესაც იესე ოსესაშვილს მისმა ყმის ცოლმა ცილი დასწამა მეფის წინაშე და საქმე სასამართლოს გადაეცა: „მთლად ქართლი და კახეთი ზედ მოგვატყდა და ჰგმობდნენ დედაკაცსა“, იხსენებდა იესე ოსესა-შვილი“ (კაკაბაძე, 1913).

სასამართლო პროცესი შეჯიბრებითი იყო. ის კარგად მოჩანს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნიდან. მოსამართლემ „მარტო მოჩივარს სამართალი არ უნდა ყუოს, მეორეც დაიბაროს, ორნივ ერთად და ალაპარაკოს“ (ვახტანგის სამართალი, 1955: 99). სასამართლო პროცესი ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობდა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მე-3 მუხლით სასამართლო აქტების გაფორმება ხდებოდა წერილობით. სასამართლოს სპეციალური მოხელე-მდივანი აწარმოებდა მხარეთა ახსნა-განმარტების ჩაწერას: „თუ გრძელი და დიდი რაინმე საჩივარი იყოს, ორისავე სიტყუა მდივანმა დასწეროს, რაიმე არ დაავიწყდეს და მერე ცალკე გასინჯონ ეცადნენ სამართლის შეტყობას“ (ვახტანგის სამართალი, 1955: 49).

გვიანფეოდალურ საქართველოში საქმის გამრჩევი მოსამართლე უნდა ყოფილიყო მიუდგომელი და ობიექტური. მას არ ჰქონდა პირადი ინტერესი და მტრული დამოკიდებულება პროცესის მონაწილე არცერთ მხარესთან. მტრულად განწყობილი მოსამართლის სუბიექტური მიდგომა გახდებოდა საფუძველი საქმიდან მისი აცილების. სამსჯავრო სხდომა იწყებოდა მომჩივანის სიტყვით, რომლითაც სასამართლოს ზეპირად ჩამოუყალიბებდა თავისი სარჩელის შინაარსს. საგულისხმოა ისიც, რომ მოსარჩელეს უფლება ჰქონდა სასამართლოსათვის წარდგენილი ერთი საჩივრით ედავა მრავალ სხვადასხვა საგანზე, კერძოდ: ადგილ-მამულზე, უძრავ და მოძრავ ქონებაზე.

მას შემდეგ, როცა ბრალდებული თუ მოპასუხე გაეცნობოდა მის წინააღმდეგ მიმართულ საჩივარს, იგი ცდილობდა გაებათილებინა ეს საჩივარი და საპასუხო სიტყვით თავი ემართლებინა. ამას მოსდევდა ორივე მოწინააღმდეგე მხარის

მხრიდან თავის გასასამართლებელი დამამტკიცებელი საბუთების და სხვა საშუალებების წარდგენა. ისინი ასახელებდნენ მოწმეებს, სასამართლოს წარუდგენდნენ ნივთიერ და წერილობით დამამტკიცებელ საბუთს.

სასამართლო მხარეთა მიერ წამოყენებულ დამამტკიცებელ საბუთებს ყურადღებით და გულისხმიერად შეისწავლიდა (დოკუმენტები, I/1940: 73). მაგრამ საქმის უკეთ შესწავლისათვის წარმოდგენილი საბუთები საკმარისი არ იქნებოდა, მაშინ სასამართლო ორივე მხარეს მოსთხოვდა დამატებითი დამამტკიცებელ საბუთების წარდგენას. დამატებითი დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენის შემდეგ, თუ მსაჯულები მივიდოდნენ იმ დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი დამამტკიცებელი საბუთები ვერ მოჰფენდა შუქს საქმის ჭეშმარიტებას მაშინ საქმის განხილვა გადაიდებოდა. მეფე თეიმურაზი მიუთითებდა: „თუ ვინ იცის მოწამე ვერც ერთმა ვერ იშოვონ კიდევ ჩვენს სამართალში ილაპარაკონ, სამართალს სხვას უზამთ“ (დოკუმენტები, I/1940: 73).

საქმის გადადება მხარეთა მიერ დამატებით დამამტკიცებელი საბუთების შეგროვების მიზნით ხდებოდა ვადის განსაზღვრით. ამ ვადას მოსამართლეები აწესებენ. მოცემული ვადის გასვლის შემდეგ საქმის განხილვა ან განახლდებოდა ან თუ მხარე, რომელსაც ევალებოდა დამატებითი მასალების წარმოდგენა, ამას ვერ შეძლებდა, სასამართლო მას მტყუანად მიიჩნევდა (ლეკვეიშვილი, 1963: 23).

მხარეები მოვალენი იყვნენ სწორი ჩვენება მიეცათ სასამართლოსათვის, ეს ეხებოდა როგორც დაზარალებულს და მოსარჩლეს, ისე ბრალდებულსა და მოპასუხეს. სასამართლო თუ საქმეზე დადგენის მიზნით ადგილობრივი დათვალიერების ჩატარებას, იგი მთელი შემადგენლობით მიდიოდა ადგილზე და ატარებდა განსაზღვრულ პროცესუალურ მოქმედებას.

XVII-XVIII საუკუნეების მასალებიდან ჩანს სასამართლო პროცესზე დამცველის მონაწილეობა. ამის შესახებ ლაპარაკობს დავით ბაგრატიონი თავის „მიმოხილვაში“, მისი მითითებით „მონაცვლე კაცები უნდა იყვნენ ზედმიწევნით პატიოსანი მოღვაწენი, მიუდგომელნი და თავისი საქმის კარგი მცოდნენი. როდესაც ესა თუ ის პირი თავს იდებს საქმის სასამართლოში წარმოებას, იგი ყოველმხრივ უნდა ზრუნავდეს თავისი კლიენტის ინტერესების დაცვაზე. „მონა-ცვლე კაცი“ მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების შემდგომ იღებს პირობით გათვალისწინებულ გასამრჯელოს. მაგრამ თუ მინდობილი საქმისადმი გულგრილობას დ დაუდევრობას გამოიჩენს, ან კიდევ დაიკავებს პროცესის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს, მას გასამრჯელო ეკარგებოდა და თავისი წოდებიდანვე უნდა გადადგეს“ (ბაგრატიონი, 1959).

სასამართლო პროცესზე როდესაც სამუდამოდ გაირკვეოდა საქმის ჭეშმარიტება, სამსჯავრო სხდომა დამთავრებულად ჩაითვლებოდა და მოსამართლეს განაჩენი გამოჰქონდა. სასამართლო თავის გადაწყვეტილებას წერილობითი სახით ორივე მხარეს აძლევდა: „ერთი ამისთანა განაჩენი ახალ სოფელთათვის მოგვიცია (სიძველენი, III/1926: 508). სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას „განჩინებას“ უწოდებდნენ. მსაჯულები წერდნენ: „ჩვენ ეს განჩინება ვნახეთ, ქაიხოსრო მდივანბეგს გაემართლებინა ესრედო“ (დოკუმენტები, I/1940: 286).

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 205-ე მუხლში პირდაპირ წერდა, რომ განაჩენში მითითებული უნდა იყოს კანონის იმ მუხლებზე, რომლის საფუძვე-ლზედაც არის საქმე გადაწყვეტილი. კანონმდებელი ამ მუხლში აღნიშნავს: „თუ არა ამ წიგნში წერებულსა სხვა მოგონებულს სამართლის ვერ გააჩენენ“ (ვახტანგის სამართალი, 1955: 101).

სასამართლოს უფლება ჰქონდა საქმის ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით შეემსუბუქებინა ის სასჯელი, რომელიც სამართლის წიგნის ძალით ბრალდებულს ეკისრებოდა: „ეს სოლომონ დაბალი აზნაურიშვილია, ამ ხელის აზნაურიშვილს მოახლის სისხლის სამართლით ექვსი თუმანი გაუჩნდებოდა, მაგრამ რადგანაც ეს დავით ხემოკლე კაცი არის და შეუძლებელი ორი თუმანი სამართალმა იპატივა და ოთხი თუმანი დავითმა სოლომონს მისცეს“ (დოკუმენტები, I/1940: 140) მიუთითებდნენ მოსამართლენი.

სასამართლო პრაქტიკაში სასჯელის შემსუბუქებასთან ერთად მიღებული იყო აგრეთვე ე. წ. „ჩარონინება“. ამას სასამართლო მაშინ მიმართავდა, როდესაც ორივე მხარე ურთიერთის მიმართ მეტნაკლებად დამნაშავე აღმოჩნდებოდა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 206-ე მუხლი ეხებოდა მხარეთა მიერ განაჩენის გაპროტესტების შემთხვევას და მიუთითებს: „მეფემ მოსამართლეთა და დამსწრეთა უნდა ეწყინოს და გარდაახდევნინოს. შეცდომითი განაჩენი რატომ დააბეჭდინეს“ (ვახტანგის სამართალი, 1955: 101).

მეფის მიერ განაჩენის დაუმტკიცებლობა არ შიეძლება ყოფილიყო განაჩენის დამრღვევი, მას ძალა ეკარგებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მეფე თავისი რაიმე აქტით გამოთქვამდა რაიმე საწინააღმდეგო აზრს. „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითი არის ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულ სჯულში ჩაწერილია „განჩინება მდივანბეგთა, ბჭეთა და ადგილობით დადგინებულ მოსამართლეთა სადაოს საქმისათვის ქმნილი დარჩებოდა სრულ ძალასა ზედა მეფისგან დაუმტკიცებელიც, უკეთუ მეფე იმ განჩინების წინააღმდეგ წერილობით საბუთს არ უბოძებდა და ანუ თვით მეფე არ ინებებდა იმის მოშლას და გარჩევას“ (გუგუშვილი, 1938: 87).

ძველ სასამართლო პრაქტიკაში მიღებული იყო ერთხელ გარჩეული საქმის ხელმეორედ განხილვა. ხშირად განაჩენის დარღვევის მიზეზი გამხდარიყო ახლად აღმოჩენილი გარემოება, რომელიც სასამართლო სხდომის დროს მოსამართლეთათვის ცნობილი არ იყო. „შემდგომად ამ განაჩენის, რომელიც ფიცით გადაწყვეტილა, მაჩაბელ ფარსადანს მისის უმაღლესობისათვის მოუხსენებია: ასეთი საბუთები ვიპოვე, რომ ამ განაჩენის დაწრი ჟამს არა ჰქონდათ და კიდევ სამართალში შესვლას ვითხოვო“ (ფონდი, საბუთი 14.874).

ახლად გამოტანილი განაჩენი ყველა წინანდელ განაჩენს ძალას უკარგავდა, „ამ წისქვილის ბარობაზე თუ რამ ან განაჩენი არის დაწეილი და ან ოქმები მისის უმაღლესობისაგან და ან მსჯულთა განა სხვის ვისაგანმე, ყველა დაგვიყენებია და ამ წისქვილის საქმე ასე გადაგვიწყვეტია“ (დოკუმენტები, I/1940: 237) - აღნიშნავდნენ მსაჯულები სამოქალაქო საქმის ხელმეორედ განხილვის დროს.

უკმაყოფილო მხარე მდივანბეგთა სასამართლოში საქმის წაგების შემდეგ უშუალოდ მეფეს მიმართავდა. მეფე ერეკლე ერთ ასეთ მომჩივანს აფრთხილებდა:„რადგანაც მდივანბეგის სამართალს არ დასჯერებულხარ, თუ მეორედ ილაპარაკებს, თუ გამართლდები, სამართალს მოგცემთ და თუ გამტყუვნდები, იცოდე ეგ მიწაც გამოგერთმევა და ჯარიმასაც წაგართმევთ“ (სიძველენი, II/1909: 489).

სასამართლო განაჩენის აღსრულება სისრულეში მოჰყავდა ეშიკაღაბასის ხელქვეით მოხელეებს. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ მართალია საბრალდებო პროცესის მიმდინარეობა მთლიანად მდივანბეგის პრეროგატივა იყო, მაგრამ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებისგან განსხვავებით საბრალდებო პროცესში მდივანბეგთან ერთად XVII საუკუნიდან ჩართული იყვნენ ეშიკაბაღასი და მისი ხელქვეითი მოხელეები.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაგრატიონი (1959): დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმთცოდნეობის მიმოხილვა, აპოლონ როგავას რედაქციითა და გამოკვლევებით, თბილისი;

გუგუშვილი (1938): პაატა გუგუშვილი, „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი ჰჯულნი“ წიგნში: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი III, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, ტფილისი;

დასტურლამალი (1886): „დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა“ (რედაქტირება პეტრე უმიკაშვილისა), ტფილისი;

დოკუმენტები (I/1940): დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტომი I, ბატონყმური ურთიერთობა, (XV-XVIII ს.ს.) ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, თბილისი;

ვახტანგის სამართალი (1955): ვახტანგVI სამართლის წიგნი, თინათინ ენუქიძის გამოცემა, თბილისი;

კაკაბაძე (1913): თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა / სარგის კაკაბაძე. ა.მ. კერესელიძის სტამბა, ტფილისი;

ლეკვეიშვილი (1963): მზია ლეკვეიშვილი, სასამართლო პროცესი XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა და სტამბა, თბილისი;

სიძველენი (III/1926): საქართველოს სიძველენი, ტომი III (დამატება), ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი;

სიძველენი (II/1909): საქართველოს სიძველენი, ტომი II, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი;

ფონდი: საქართველოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდი, საბუთი N 14.874;

ჩხეიძე (1854): სეხნია ჩხეიძის თხზულება, იხილეთ წიგნში: ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი II - ახალი მოთხრობა, 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე - გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან, სპბ;